ხელშეკრულება № 07

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ.ქისტაური მარტი 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ლეილა მაილაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჩვენი სკოლა“ -ს, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნათია ჭანტურიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ნაბეჭდი თვალსაჩინოებების, სარეგისტრაციო ჟურნალების, სპორტული ინვენტარის(CPV:22800000;30100000;30200000;44900000)შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 635.50 (ექვსას ოცდა თხუთმეტი ლარი და 50 თეთრი)ლარს.მ.შ.ორის 22810000-(სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები)ზე-108 (ას რვა) ლარი; 22816000-(ქაღალდის კინძულა)ზე-60.00(სამოცი) ლარი; 22850000(ბაინდერები)-ზე 190(ას ოთხმოცა ათი)ლარი; 30197000 (მცირე საოფისე ნივთები)-ზე 118.50(ას თვრამეტი)ლარი; 30199000(ქაღალდის საკანცელარიო ნივთები)-ზე 49 (ორმოცდა ცხრა)ლარი; 30234600(ფლეშმეხსიერება)-ზე - 50.00(ორმოცსა ათი)ლარი და 44922100-(ცარცი)-ზე -60.00(სამოცი)ლარი.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ყოველი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე , ახმეტის მუნიციპალიტეტი,სოფელი ქისტაური.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ -ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის საჯარო სკოლა
ს/კ 224619456
მის: ახმეტის მუნიციპალიტეტი,სოფელი ქისტაური
ტელ: 591012848

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,, ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE67LB0121124129851000

დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „ჩვენი სკოლა“
ს/კ 404862136
მის.: ქ. თბილისი,მარშალ გელოვანის გამზ N24
ტელ.: 574 440 005

საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/აGE37TB7684436020100002

Natia Tchanturishvili
(ხელმოწერა)
Digitally signed by Natia Tchanturishvili
Date: 2023.03.01 12:48:42 +04'00'

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
1	მოსწავლის პირადი საქმე	ცალი	30	2	60
2	სკოლის საგნობრივი კათედრის ჟურნალი	ცალი	7	6	42
3	სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა	ცალი	1	6	6
4	საქართველოს დროშა	ცალი	1	23.5	23.5
5	ბლოკნოტი (ტყავის ყდით)	ცალი	4	15	60
6	სკოჩი ორმაგი (ორივე მხარეს წებვადი) პატარა	ცალი	3	5.5	16.5
7	ქაღალდის სკოჩი (30მეტრიანი)	ცალი	3	5.5	16.5
8	ფლეშკა (მეხსიერების ბარათი- 8 გეგაბაიტიანი)	ცალი	2	25	50
9	ბაინდერი	ცალი	10	7	70
10	ფაილები (100 ცალი)	შეკვ	10	10	100
11	თეთრი ცარცი (100ცალიანი)	შეკვ	5	12	60
12	დაფაზე საწერი მარკერები, კომპლექტი10 ცალი	შეკვ	1	19	19
13	საქაღალდე - 20 ფაილიანი	ცალი	4	5	20
14	კორექტორი კალამი	ცალი	2	2.5	5
15	კორექტორი ფუნჯით	ცალი	2	2.5	5
16	კალამი მაგიდის სადგარით	ცალი	3	3.50	10.5
17	სტეპლერი პატარა	ცალი	1	6	6
18	მშრალი წებო	ცალი	5	1.5	7.5

19	თხევადი წებო	ცალი	3	1.5	4.5
20	ჭიკარტები (30 ცალიანი)	ცალი	3	1.5	4.5
21	ფორმატი A1 თეთრი	ცალი	10	2	20
22	მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი	ცალი	1	2.5	2.5
23	შემაჯამებელი სამუშაოების განრიგი	ცალი	1	2.5	2.5
24	გაკვეთილების ცხრილი– დიდი ფორმატი	ცალი	4	3.5	14
25	გაკვეთილების ცხრილი– პატარა ფორმატი	ცალი	4	2.5	10
სულ ღირებულება (ექვსას ოცდა თხუთმეტი ლარი და 50 თეთრი)					635-50

სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურის
საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: /ლეილა მაილაშვილი/

შპს „ჩვენი სკოლა“ /ნათია ჭანტურიშვილი/

Natia Tchanturishvili

Digitally signed by Natia Tchanturishvili
Date: 2023.03.01 12:49:08 +04'00'